


3

გურამ ბერიშვილი
ბაკურ სულაკაური

მათემატიკა

ნაწილი I



მოსწავლის წიგნი

გრიფინიჭებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2018 წელს.



ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

სარჩევი

თავი 1

რაოდენობა და რიცხვი

1. რაოდენობა და არაბული ციფრები 6
2. რომაული და ძველი ქართული ციფრები 8
3. ციფრების გამოყენება ნომრებად 10
4. რიცხვების შედარება დაწყვილებით . . 12
5. რიცხვთა ლერძი 14
6. შეკრება და გამოკლება 16
7. რამდენიმე შესაკრები 18
8. რიცხვის დაშლა შესაკრებებად 20
9. შეკრების და გამოკლების ცხრილი . . . 22
10. დამატებითი სავარჯიშოები 24

თავი 3

1000-მდე რიცხვები

1. ასეულები 40
2. ასეულების შედარება 41
3. ასეულები რიცხვთა ლერძზე 42
4. ასეულების შეკრება-გამოკლება 43
5. 1000-მდე რიცხვები 44
6. დიდი რიცხვების შედარება 45
7. დიდი რიცხვების დალაგება რიცხვთა ლერძზე 46
8. მცირე რაოდენობების დამატება 47
9. მცირე რაოდენობების გამოკლება . . . 48
10. ათეულამდე დამრგვალება 49
11. ასეულამდე დამრგვალება 50

თავი 2

გეომეტრიული ფიგურები

1. წირი და მისი ნაწილები 26
2. გზა და მიმართულება, არე და მისი სახელი 28
3. მონაკვეთი და ტეხილი 30
4. სანტიმეტრი და მეტრი 32
5. მრავალკუთხედი და მისი პერიმეტრი . 34
6. რომელი არე უფრო დიდია? 35
7. მართკუთხედი და კვადრატი 36
8. წრე და წრეწირი 37
- დამატებითი სავარჯიშოები 38

თავი 4

მონაცემები და სიდიდის გაზომვა

1. მონაცემების შეგროვება 52
2. მონაცემების მიხედვით ჯგუფის გამოყოფა 53
3. პიქტოგრამა 54
4. მონაცემების მონესრიგება ცხრილში . 55
5. სვეტოვანი დიაგრამა 56
6. კალენდარი 57
7. ისრებიანი საათი და ელექტროსაათი . 58
8. დილის და სალამოს საათები 59
9. ნახევარი საათი 60
10. რომელი საათია? 61
11. ფული და საფასურის გადახდა 62
12. ხურდა 63
13. ტემპერატურა. თერმომეტრი. გრადუსი 64
14. მძიმე და მსუბუქი 65
15. გრამი და კილოგრამი 66

თავი 5


შესაბამისობა და მიმდევრობა

1. საგანთა და რიცხვთა მიმდევრობები.. 68
 2. მსგავსი მიმდევრობები 69
 3. ასოითი გამოსახულება 70
 4. ასოითი გამოსახულების მნიშვნელობა 71
 5. შესაბამისობა 72
 6. შესაბამისი 73
 7. განტოლება და მისი ფესვი 74
 8. მარტივი განტოლებები 75
დამატებითი სავარჯიშოები 76
-
- დამატებითი ამოცანები 77

რაოდენობა და რიცხვი



ძველად სხვადასხვა ქვეყანაში რიცხვებს სხვადასხვანაირად წერდნენ.



აქ ოცდახუთი ვაშლია.

ეს რაოდენობა დღეს ციფრებით ასე იწერება:

25

როგორ ვწერთ ახლა	როგორ წერდნენ ძველი რომაელები	როგორ წერდნენ ძველ საქართველოში
25	XXV	ქე

იგივე რიცხვი ძველად საქართველოში

ასე იწერებოდა: **ქე**

ძველი რომაელები წერდნენ ასე: **XXV**

ამ თავში ისწავლი:

- ✓ როგორ შეიძლება რიცხვი დაწერო ციფრებით.
- ✓ როგორ წერდნენ რიცხვებს სხვადასხვა ქვეყანაში.

რაოდენობა და არაბული ციფრები

ბგერები და სიტყვები ასოებით იწერება, ხოლო რიცხვების ჩასაწერად საჭიროა ციფრები.

0	1	2	3	4	5	6	7	8	9
ნული	ერთი	ორი	სამი	ოთხი	ხუთი	ექვსი	შვიდი	რვა	ცხრა

0, 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9 ციფრებია. მათ რაოდენობის აღსანიშნავად იყენებენ. ამ ციფრებს არაბული ციფრები ჰქვია.

ზოგიერთი რიცხვი მხოლოდ ერთი ციფრით იწერება, ზოგის დასაწერად კი მეტი ციფრია საჭირო.

1. გადაიწერე რიცხვები და მიუწერე სახელები.



2. გადაიწერე ციფრები და გვერდით მიუხატე იმდენი წერტილი, რა რაოდენობასაც აღნიშნავს.




3. დათვალე ნახატზე ფოთლები და რვეულში დაწერე, რამდენია.



4. გადაიხატე იმდენი წერტილი, რამდენიც აქაა და გვერდით მიუწერე რიცხვის სახელი.




5. გადაიწერე რიცხვების სახელები და ჩაწერე არაბული ციფრებით.




6. შეიძლება თუ არა, რიცხვი ორი ერთნაირი ციფრით დაიწეროს? დაწერე ყველა ასეთი რიცხვი.


7. გადაიხატე იმდენი ჯვარი, რამდენიც აქაა და გვერდით მიუწერე რიცხვის სახელი, ხოლო შემდეგ ჩაწერე ციფრებით.




8. რამდენი კვერცხია? როგორ იწერება ციფრებით ეს რაოდენობა?



9. გადაიწერე რიცხვები და მიუწერე სახელები.



10. რაოდენობები ჩანერე რვეულში ციფრებით და მიუნერე სახელები.




11. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი, ოცი და ასი რიცხვების სახელებია. სხვა რიცხვების სახელები მათი გამოყენებით შედგენილი სიტყვებია. რომელი რიცხვების სახელებითაა შედგენილი შემდეგი რიცხვითი სახელები?

- ოცდაშვიდი
- ორმოცდარვა
- ორმოცდაერთი
- თხუთმეტი
- ორმოცი
- სამოცდასამი
- ოთხმოცდაცხრამეტი

12. სულ რამდენი არაბული ციფრი არსებობს?

13. გადაიხატე ნერტილები და მიანერე, რა ჰქვია ამ რაოდენობას.



14. რამდენი ციფრის გამოყენებით ინერება:

- შვიდი
 - ჩვიდმეტი
 - ორმოცდაშვიდი
 - ასი
- რამდენი ასოთი ინერება ამ რიცხვების სახელები?

15. რიცხვს, რომელიც ორი ციფრით ინერება, ორნიშნა რიცხვს ეძახიან, ხოლო რიცხვს, რომელიც ერთი ციფრით ინერება – ერთნიშნას.

ა. რამდენნიშნა რიცხვებია?

- 17
- 0
- 30
- 40
- 100

ბ. რომელია ყველაზე პატარა ორნიშნა რიცხვი? რომელია ყველაზე დიდი ორნიშნა რიცხვი?

16. გადაიხატე და ერთმანეთს ხაზებით დაუკავშირე რაოდენობები, ციფრები და სიტყვები.

ხუთი	x x x x x x x x x	1
ერთი	▲ ▲ ▲ ▲ ▲ ▲ ▲	5
ცხრა	● ● ● ●	9
ორი	■	2
ოთხი	▲ ▲ ▲	7
სამი	x x	4
შვიდი	● ● ● ● ●	3

17. ა ბ გ დ ე ე ვ ზ თ ი კ ლ მ ნ ო პ ე რ ს ტ უ ფ ქ ლ ყ შ ჩ ც ძ ნ ტ ხ ჭ ჰ ჴ

აქ მიმდევრობითაა დაწერილი ქართული ანბანის ყველა ასო. რომელია პირველი ასო? ბოლო? მერამდენე ასოა ანბანში „კ“? რომელია ოცდამეცხრე ასო? მერამდენეა „ხ“? რომელია ოცდამეათე ასო?

რომაული და ძველი ქართული ციფრები

ა	1
ბ	2
გ	3
დ	4
ე	5
ვ	6
ზ	7
ც	8
თ	9
ი	10
კ	20
ლ	30
მ	40
ნ	50
ძ	60
ო	70
პ	80
ჟ	90
რ	100

არაბული ციფრების გამოგონებამდე ადამიანები სხვადასხვა ქვეყანაში რიცხვებს სხვადასხვანაირად წერდნენ.

ქართველები ძველად 15-ს წერდნენ ასე: იე, რადგან ი აღნიშნავდა 10-ს, ხოლო ე – 5-ს. თუ უნდოდათ, დაენერათ 97, ასე იქცეოდნენ: რაკი 97 არის 90 და 7, ჯერ წერდნენ ჟ-ს და მერე – ზ-ს. გამოდიოდა: ჟზ.


ძველი რომაელებიც თავიანთი ანბანის – ლათინური ანბანის – ასოებით სარგებლობდნენ რიცხვების ჩასაწერად, ოღონდ მხოლოდ რამდენიმე ასოს იყენებდნენ.

I	ერთი
V	ხუთი
X	ათი
L	ორმოცდაათი
C	ასი

ამ ასოების საშუალებით წერდნენ სხვადასხვა რაოდენობებს. 2-ს და 3-ს გამოსახავდნენ ერთიანებით: II და III. თუ პატარა რიცხვს მარცხნიდან მიუწერდნენ, ეს გამოკლებას ნიშნავდა, თუ მარჯვნიდან – მიმატებას. მაგალითად, IV – ჯერ ერთიანი და მერე ხუთიანი აღნიშნავდა 4-ს; VI – ჯერ ხუთიანი და მერე ერთიანი აღნიშნავდა 6-ს. ოთხს ზოგჯერ ასეც წერდნენ: IIII


40 ასე იწერებოდა: XL. 90 – ასე: XC.

1. ზოგიერთ საათს ციფრები რომაულად აწერია. დააკვირდი ციფერბლატს. როგორ იწერება რომაულად.



როგორ არის დაწერილი ოთხიანი?

2. როგორ დაიწერება ქართული ასოებით?



3. რამდენი ნიშნის გამოყენებით იწერებოდა 30 ძველად საქართველოში? 35? 100?


4. დათვალე და ჩაწერე რვეულში რაოდენობა ქართული ასოებით.



5. გადაიწერე ქართული ასოებით ჩაწერილი რიცხვები და მიუწერე სახელები.



6. დააკვირდი რომაულად დაწერილ რიცხვებს და მიუწერე არაბული ციფრებით.



7. ჩანერე რომაულად.

15	21	100	99
20	50	49	90

8. მიუწერე სახელები.

XIII	XVI	XIX	XL
XIV	XVIII	XXIX	XXXIV

9. ისარგებლე ნიმუშით და დახატე რიცხვების შესაბამისი რაოდენობის წერტილები.

ნიმუში

2	4
	
								

24	35	80	44
38	54	37	68
ლ	XXXIII	LXXI	
ნვ	XL	XCVI	

10. ზოგჯერ რომაულ ციფრებს იყენებენ იმის აღსანიშნავად, მერამდენაა „დავით IV“ იკითხება ასე: „დავით მეოთხე“ (და არა დავით ოთხი). როგორ წაიკითხება?

გიორგი XII	დავით IV
ვახტანგ VI	თეიმურაზ I
ერეკლე II	იოანე-პავლე XII
ილია II	




11. რამდენი ციფრით იწერება შემდეგი რაოდენობები?

- | | |
|-------------|---------|
| ა. ოცდაცხრა | ბ. ერთი |
| გ. ათი | დ. ასი |

12. ჩანერე რომაული ციფრებით:

სამოცდაათი	სამოცდათხუთმეტი
სამოცდათერთმეტი	ოთხმოცი

13. დათვალე და დაწერე კვერცხების რაოდენობა ოთხნაირად: სახელით, არაბული ციფრებით, ძველქართული ციფრებით, რომაული ციფრებით.



14. დაწერე 5 რიცხვი, რომლებიც მხოლოდ ერთი ციფრით ვერ ჩაიწერება. რომელია მათ შორის ყველაზე მცირე?

15. იმ რიცხვებს შორის, რომლებიც ორი ციფრით იწერება, რომელია ყველაზე პატარა? ყველაზე დიდი?

16. დახატე რვეულში 20 რგოლი.



გააფერადე XVI რგოლი წითლად, XIX – მწვანედ, ხოლო მარჯვნიდან მე-15 – ლურჯად.

რიცხვების გამოყენება ნომრებად

ციფრებით დანერვილი რიცხვები ყოველთვის რაოდენობას არ აღნიშნავს. მაგალითად, ფეხბურთელების მაისურებზე რიცხვები გამოიყენება იმისთვის, რომ სპორტსმენები ერთმანეთისაგან ადვილად გავარჩიოთ. რიცხვებს იყენებენ ქალაქში სახლების ადვილად მოსაძებნადაც. ქუჩის გასწვრივ სახლებს რიცხვები მიმდევრობით აწერია. ქუჩის მარჯვენა მხარეს პირველ სახლს აწერია ერთიანი, ორიანი აწერია ქუჩის მარცხენა მხარეს პირველივე სახლს, მერე სამიანი ისევ მარჯვენა მხარეს მომდევნო სახლს და ასე შემდეგ...

გავიხსენოთ, რომ 1, 3, 5, 7, 9 და ასე შემდეგ რიცხვები **კენტი**, ხოლო 2, 4, 6, 8,... – **ლუნი**.



1.




- რამდენი ფეხბურთელია?
- რამდენი ფეხბურთელია ყვითელ ფორმაში?
- ჩამოწერე ყვითლების ნომრები.
- ჩამოწერე შავების ნომრები.

2. გვიჩვენებს თუ არა რაიმე რაოდენობას ავტობუსის ნომერი?

3. კაცი დგას ნომერი 12 სახლის წინ და ეძებს სახლს, რომლის ნომერია 3. უნდა გადავიდეს თუ არა ქუჩაზე?

4. რომელია ყველაზე დიდი ორნიშნა ლუნი რიცხვი? რომელია ყველაზე მცირე ორნიშნა კენტი რიცხვი? რომელია ყველაზე დიდი ორნიშნა ლუნი რიცხვი?

5. დათვალე თხილები და დანერე ეს რაოდენობა რვეულში ჯერ არაბული ციფრებით, მერე – რომაულით და ბოლოს – ძველქართულით; მიუწერე რაოდენობის სახელი.



6.

კენტი რიცხვი ისეთ რაოდენობას აღნიშნავს, რომ თუ ორ-ორს გამოვყოფთ, ერთი ცალი ცალკე, ანუ კენტად დარჩება.

ამ სურათზე ყოველი მეათე ასო გამუქებულია. რომელია XV ასო? XXXVII?

7. ლუნია თუ კენტი ძველი ქართული ციფრებით დაწერილი ეს რიცხვები?

პვ ლა ზ
რ რგ უე

8. როდესაც პატარა რაოდენობებს ითვლიან, რომ არ აერიოთ, ასეთ ხაზებს ჩამოუსვამენ ხოლმე: |||| იმისათვის, რომ ადვილი აღსაქმელი იყოს, ყოველი მეხუთე ხაზი სხვანაირადაა გავლებული.

|||| ეს 5-ს აღნიშნავს.

|||| | ეს რვაა.

|||| ||| ||| ||| ეს ოცია.

რა რაოდენობას აღნიშნავს?

ა. ||| ||| |

ბ. ||| ||| |||
||| ||| |||

გ. ||| ||| ||| ||| ||| |

9. რომელ ქუჩაზე დგას ეს სახლი? რა ნომერია სახლი? დაწერე ამ სახლში მცხოვრები კაცის მისამართი.



დოლიძის ქუჩა

10. კენტია თუ ლუნი რომაული ციფრებით დაწერილი ეს რიცხვები?

XXI IV V VI XIX L

11. დაწერე შენი სახლის მისამართი.

12. რომელი არ არის ამათ შორის ლუნი?

19 13 20 21 56
30 29 31 19 59

13. რომელია ამათ შორის კენტი რიცხვები?

97 18 36 11 47
7 48 50 13 51

14. დაწერე რვეულში არაბული, რომაული და ძველქართული ციფრებით.

ოცდაცხრა ორმოცდაცხრა

ორმოცდაცხრამეტი

ოცდაცხრამეტი

ოთხმოცდაცხრამეტი

15. როდესაც არაბული ციფრებით ვწერთ, ბოლო ციფრის მიხედვით ვხვდებით, რიცხვი კენტია თუ ლუნი.

შეგვიძლია თუ არა ბოლო ციფრის მიხედვით გამოვიცნოთ, კენტია თუ ლუნი რომაული ციფრებით დაწერილი რაოდენობა?

მინიშნება: დაწერე რომაული რიცხვები ერთიდან ათამდე და დააკვირდი ლუნების ბოლო ციფრებს.


16. ანამ ჩაიფიქრა 0-დან 50-მდე ერთ-ერთი რიცხვი. ვიცით, რომ მისი ჩაიფიქრებული რიცხვი მეტია 46-ზე და ლუნია. რა რიცხვი ჩაუფიქრებია ანას?

17. ტელეფონების ნომრებისთვის რიცხვები გამოიყენება. გვიჩვენებს თუ არა ეს რიცხვები რაოდენობას?

18. ||| ||| ||| ||| ||| ||| |||

რამდენია? როგორ დაინერება რომაული ციფრებით ეს რაოდენობა?

რიცხვების შედარება დანყვილებით



18 > 16

რომელია მეტი, 18 თუ 16?

ყველამ ვიცით, რომ 18 მეტია 16-ზე, მაგრამ როგორ დავარწმუნოთ ამაში ის, ვინც არ გვეთანხმება?


ამისათვის საჭიროა დანყვილება. მეტია ის, რომელ მხარესაც დარჩება დაუნყვილებელი.

ეს მეტ-ნაკლებობის ნიშანია > მისი წვერო ყოველთვის ნაკლებისკენაა მიმართული.

თუ დაუნყვილებლები არ დარჩება, მაშინ რაოდენობები ტოლია.

ეს ტოლობის ნიშანია =

როდესაც დიდ რიცხვებს ვადარებთ ერთმანეთს, შეგვიძლია ათეულები დავანყვილოთ.



37 < 52

მეტია ის რიცხვი, რომელშიც ათეულებია მეტი.

თუ ათეულების რაოდენობა ტოლია, მაშინ ერთეულების შედარებით გავარკვევთ, რომელია მეტი.

45 > 42

1. რომელია მეტი? გადაინერე რვეულში, დახატე შესაბამისი რაოდენობის ნერტილები და ჯვრები. დაანყვილე და ჩანერე საჭირო ნიშანი.

- | | |
|----------|----------|
| 7 თუ 9 | 12 თუ 13 |
| 2 თუ 3 | 12 თუ 10 |
| 8 თუ 7 | 13 თუ 13 |
| 16 თუ 14 | 11 თუ 17 |

2. დანერე არაბული ციფრებით.

- | | |
|---|--|
| ოცდაორი | სამოცდაათი |
| ორმოცდაჩვიდმეტი | ორმოცდარვა |

3. გადაინერე და ჩასვი რიცხვებს შორის საჭირო ნიშანი (>, <, =).

- | | | | | | |
|----|---|----|----|---|----|
| 25 | | 31 | 70 | | 71 |
| 47 | | 37 | 91 | | 90 |
| 63 | | 36 | 89 | | 90 |
| 80 | | 72 | 90 | | 90 |

4. გადაინერე რიცხვები და მიუწერე სახელები.

53, 21, 32, 69, 40, 47, 86, 74, 96.
 დანერე ეს რიცხვები რომაული ციფრებით.


5. გადაიხაზე რვეულში ცხრილი და შეავესე ცარიელი უჯრები.

1	ერთი	•	
		• • •	
	ხუთი		V
4		• • •	
	ცამეტი		
12		• • • • •	
		• • • • •	X
7		• • • • •	
			VIII
2			

6. ძველქართულად დაწერილი რიცხვები გადაიწერე არაბული ციფრებით და შეადარე.

მა	ნბ	ლ	კთ
ია	ზ	რ	ო
პდ	ჟა	ღ	ო

7. დათვალე ღილები და მათი რაოდენობა ჩანერე სხვადასხვანაირად: არაბული ციფრებით, რომაულად, ძველქართულად.



8. რომაულად დაწერილი რიცხვები გადაიწერე არაბული ციფრებით და შეადარე.

XXII	XIX	C	LXX
XXXV	XXVIII	LX	LIX
LI	IL	LXXII	LXIX

9. ქალმა ჩაუარა სახლებს, რომელთა ნომრები იყო: 42, 44, 46 და მივიდა სახლთან, რომლის ნომერია 48. რა ნომრები იქნება შემდეგი 5 სახლი?


10. რომელია ამათ შორის ლუნ რიცხვები?

35	XXII	ორმოცდაოთხი
68	კზ	სამოცდასამი

11. გადაიწერე რიცხვები და შეადარე.

21 თუ 14	65 თუ 49
19 თუ 91	56 თუ 94
36 თუ 53	84 თუ 58
45 თუ 35	67 თუ 37
37 თუ 51	38 თუ 40
36 თუ 50	41 თუ 39
60 თუ 16	75 თუ 57

12. რამდენია? მიუწერე სახელი და რაოდენობა ჩანერე არაბული, რომაული და ძველი ქართული ციფრებით.




13. ფეხბურთის გუნდში 11 ბიჭია. მაისურებზე აწერიათ ნომრებად რიცხვები 1-დან 11-მდე. რა ნომერია განაპირას მდგომი ფეხბურთელი? მერამდენე დგას მე-5 ნომერი ფეხბურთელი?




რიცხვთა ღერძი

რიცხვები შეგვიძლია სხვადასხვაგვარად დავალაგოთ. მაგალითად, ჯერ დავწეროთ ყველაზე პატარა, მერე – უფრო დიდი, მერე – კიდევ უფრო დიდი და ასე შემდეგ...

რიცხვები დალაგებულია **ზრდადობის მიხედვით**.




თუ ყველა რიცხვს ზრდადობის მიხედვით დავალაგებთ, დაახლოებით ასეთი რამ გამოვა:




ამას **რიცხვთა ღერძი** ჰქვია. რადგან რიცხვები უამრავია, ამ რიცხვთა ღერძზე ყველა ვერ დაეცია და მხოლოდ 0-დან 15-მდე რიცხვებია.

შეიძლება რიცხვთა ღერძის სხვანაირად დახატვაც.



შეიძლება რიცხვთა ღერძის პატარა ნაწილის დახატვაც. მაგალითად, ასე:



1. გადაიწერე რიცხვები და დაალაგე ზრდადობით.

23 15 4 29 16 3 22

2. გადაიწერე რიცხვები და დაალაგე კლებადობით.

13 18 6 27 39 2

3. დახატე რიცხვთა ღერძი 0-დან 20-მდე რიცხვებისთვის და რიცხვები მიუწერე რომაული ციფრებით.

4. გადაიწერე რიცხვები და დაალაგე ზრდადობით.

X II IV XVII XIX

5. დაწერე ამ რიცხვების წინა და მომდევნო რიცხვები.


30, 40, 50, 60, 70, 10, 20, 80, 90.

6. რიცხვები გადაიწერე არაბული ციფრებით და დაალაგე ზრდადობის მიხედვით.

ოცდაჩვიდმეტი სამოცდახუთი
ორმოცდაცხრა ოთხმოცდაერთი
სამოცდაჩვიდმეტი ოცდასამი

7. დახატე რიცხვთა ღერძი 55-დან 70-მდე რიცხვებისათვის.

8. გადაიხატე რიცხვთა ღერძი და გამოტოვებული რიცხვები ჩაწერე რომაული ციფრებით.



9. დახატე რიცხვების შესაბამისი რაოდენობის წერტილები.
34, XLV, 71, კზ, XXIII, ლთ.